სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის პირველი მაისის № 676 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **თბილისის პირველი მაისის** № 676 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ოთარ ილიას-ძე ლოლაშვილი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის კალინინის № 677 საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიის სხდომა. სხდომამ ერთხმად დადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **თბილისის კალინინის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ქუთაისის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი **იზოლდა ირინას ასული რობაქიძე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების სოხუმის № 690 საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **სოხუმის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვალერიან ოსმანის-ძე კობახია.**

თბილისის ორჯონიკიძის № 165 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ორჯონიკიძის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ თბილისის ამრენმშესაქსოი ფაბრიკის მქსოველი **ეთერ ბეგლარის ასული სოლომონია.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ოჩამჩირის № 686 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომამ მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ქუთაისის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი **ეროსი ოდისეოზის-ძე ფალავანდიშვილი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს № 191 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ცხინვალის** № 191 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე თოთიძე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის ლენინის № 481 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **სოხუმის ლენინის** საარჩევნო ოლქში ერთხმად გაატარეს რეგისტრაციაში სოხუმის № 8 სტანდის მბეჭდავი **აგრიფინა ანდრიას ასული ძიძარია.**

სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **იური ტარიელის-ძე კვიციანია** ერთხმად გაატარეს რეგისტრაციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოხუმის № 482 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 483 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო კომისიის სხდომა. სხდომამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **სოხუმის სასოფლო** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს № 484 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **გაგრის** საარჩევნო ოლქში ერთხმად გაატარა რეგისტრაციაში **ალექსანდრე ალექსის ძე ბარამია.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს № 485 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **გალის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის კოლმეურნეობის მეზიარე **ლუსია გაგალის ასული გამსახურდია.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს № 486 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ ერთხმად მიღებულია დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **სოხუმის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვალერიან ოსმანის-ძე კობახია.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს № 736 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ ერთხმად მიღებულია დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ცხინვალის** საქალაქო საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის" მძღოლი მეგრელი **ნაზირა ექვთიმეს ასული სანაკოევა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ცხინვალის № 737 სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე ერთსულოვნად დადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ცხინვალის** სასოფლო საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირი **გრიგოლ ვასილის-ძე საგაევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჯავის № 738 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთსულოვნად გაატარა რეგისტრაციაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ჯავის** საარჩევნო ოლქში საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯუსოევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ზნაურის № 739 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ზნაურის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კოსტა კარგოს-ძე ჯიოევი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ლენინგორის № 740 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. აქ ერთსულოვნად მიღებულია დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **ლენინგორის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ოტორინოლარინგოლოგიის კათედრის გამგე, ლენინური პრემიის ლაურეატი **სიმონ ნიკოლოზის-ძე ხეჩინაშვილი.** (საქდესი).

# საერთაშორისო ცხოვრება

## საზეიმო სხდომა ბერლინში

ბერლინი, 6 მაისი, (საკდესი). დღეს ბერლინში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეღვნა გერმანელი ხალხის ფაშიზმისაგან გახთავისუფლების 21 წლისთავსა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ტრადიციული კვირეულის დაწყებას. სხდომაც დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, სახელმწიფო საბჭოს, სახალხო პალატის პრეზიდიუმის, მთავრობის წევრები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები და სხვ.

სტუმრებს შორისაა საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირისა და საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ს.კ.კ ცენტრალური კომიტეტის წევრი პ. ა. აბრასიმოვი.

მოხსენება გააკეთა სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ი. დიკმანმა.

ბერლინი, 6 მაისი. (საკდესი). ფაშიზმისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლების 21-ე წლისთავის გამო და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში დამსახურებისათვის გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობამ **სპატენი** ოქროსა და ვერცხლის მედლებით დააჯილდოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მოქალაქეთა დიდი ჯგუფი.

## ᲛᲝᲒᲖᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐ

ვარშავა, 6 მაისი. (საკდესი). პოლონეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა, ოდერ-ნოისეს საზღვრის ცნობა, მიუხხენის ხელშეკრულების გაუქმება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა თანასწორუფლებიან გერმანულ სახელმწიფოდ და პარტნიორად გერმანიის გაერთიანების საქმეში, შეიარაღებასა და ატომურ იარაღზე უარის თქმა, კონსტიტუციული მიდგომა გადაწყვეტილებისადმი, რომლებიც თუნდაც ნაწილობრივ და თანდათან განხორციელდება და რომელთა მიზანია ევროპის დაძაბულობის შენელება — აი უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების სწორი და ერთადერთი გზა, განაცხადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ თავის პასუხში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 24 მარტის ნოტაზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიწები პოლონეთის განუყოფელი ნაწილია, რადგან პოლონეთი უროპის ნაწილს წარმოადგენს, რომ ოდერ-ნოისეს საზღვარი არ შეიძლება — აი უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების სწორი და ერთადერთი გზა, განაცხადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ.

მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის ავრეთვე დასავლეთი გერმანიის მთავრობის პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ანუ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც გადაჭრით უარყო გერმანული მილიტარიზმის დამლუპველი პოლიტიკა და ეაადგა სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაარსებობის გზას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი და საზღვრების შეუვალობა, ნოტაში ამბობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხში, განუყოფლადაა დაკავშირებული პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროებასთან.

პოლონეთის მთავრობას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნოტა მიაჩნია იმის ცდად, რომ შეაცდინონ საზოგადოებრივი აზრი და გაამართლონ შეიარაღებისა და რევანშისტული პრეტენზიების პოლიტიკა.

## ᲕᲘ. ᲒᲝᲛᲣᲚᲙᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ვარშავა, 6 მაისი. (საკდესი). საგარეო ვაჭრობას წამყვანი ადგილი უჭირავს პოლონეთის სახალხო მეურნეობაში და, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს მის განვითარებას, განაცხადა გუშინ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ვარშავის კომიტეტის პლენუმზე, რომელიც აქ გაიმართა. ვ. გომულკამ დიდად შეაფასა ვარშავის მრეწველობის წვლილი პოლონეთის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და შეეხო საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანებს, რომლებიც დასახულია პოლონეთის მრეწველობისა და, კერძოდ, პოლონეთის დედაქალაქის მრეწველობის წინაშე.

## ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲒᲖᲐ

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ თავის პასუხში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 24 მარტის ნოტაზე.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიწები პოლონეთის განუყოფელი ნაწილია, რადგან პოლონეთი უროპის ნაწილს წარმოადგენს, რომ ოდერ-ნოისეს საზღვარი არ შეიძლება — აი უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების სწორი და ერთადერთი გზა, განაცხადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ.

მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის ავრეთვე დასავლეთი გერმანიის მთავრობის პოზიცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ანუ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც გადაჭრით უარყო გერმანული მილიტარიზმის დამლუპველი პოლიტიკა და ეაადგა სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაარსებობის გზას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტი და საზღვრების შეუვალობა, ნოტაშია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხში, განუყოფლადაა დაკავშირებული პოლონეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უშიშროებასთან.

პოლონეთის მთავრობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნოტა მიაჩნია იმის ცდად, რომ შეაცდინონ საზოგადოებრივი აზრი და გაამართლონ შეიარაღებისა და რევანშისტული პრეტენზიების პოლიტიკა.

## ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲛᲔᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

კაირო, 6 მაისი. (საკდესი). დღეს დილით ალექსანდრიაში შესამეჯერ და უკანასკნელად ოფიციალურად შეხვდნენ ერთმანეთს პრეზიდენტები ნასერი და ტიტო.

როგორც შეხვედრის დამთავრების შემდეგ განაცხადა პრეზიდენტმა კენელერიის გენერალურმა მდივანმა აბდელ მაგიდ ფაჩიდმა, ორივე პრეზიდენტმა განიხილა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარება და ერთმანეთს გაუზიარეს აზრი პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში ამ ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების გზებისა და საშუალებების შესახებ. მათ კმაყოფილება გამოთქვეს იმ პოზიციური შედეგების გამო, რომლებსაც ორივე მხარემ მიაღწია ყველა განხილულ საკითხში, და განსაკუთრებით მიუმხრობლობის პოლიტიკის საკითხებში.

კაირო, 7 მაისი. (საკდესი). იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო დღეს ალექსანდრიიდან სამშობლოში გაემგზავრა. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს პრეზიდენტი ტიტო მოლაპარაკებას აწარმოებდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერთან ორივე მხარისათვის საინტერესო ბევრ საკითხზე.

## ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ

პარიზი, 6 მაისი. (საკდესი). ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის მეოთხე მოადგილემ ეკონომიკის, ფინანსთა და მშენებლობის საკითხებში ჰამენგუ ბუვონომ, დღეს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ინდონეზიის ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობა არეულია. ფრანს პრესის საგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს ცნობას, იუწყება: ჰამენგუ ბუვონო აცხადებს, რომ ბრუნვაში მყოფი ფულის რაოდენობა, 1962 წლის 136 მილიარდი რუპიიდან 5.000 მილიარდ რუპიამდე გაიზარდა 1966 წელს, მან დაასახელა ისეთი ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ 1962 წელს ინდონეზიის ექსპორტი 478 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ხოლო 1965 წელს იგი 400 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

ჰამენგუ ბუვონომ დასძინა, რომ ინდონეზიის მთავრობა ახლა ეძებს გზებს, რომ დაიწყოს თავი შექმნილ მდგომარეობას.

## ᲐᲓᲐᲛ ᲛᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐ

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). ინდონეზია ცდილობს მშვიდობიანად მოაგვაროს ურთიერთობა მალაიზიასთან, განაცხადა პარლამენტში გამოსვლისას ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ მალიქმა. მაგრამ, აღნიშნა მან, ბრძოლა მალაიზიის წინააღმდეგ შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაჰისა და სარავაკის ხალხებს, რომლებიც ამჟამად მალაიზიის შემადგენლობაში შედიან, თვითგამორკვევის უფლებას მიანიჭებენ. ბრძოლის შეწყვეტის მეორე პირობაა, თქვა მალიქმა, იხელისის ბაზების ლიკვიდაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამას იტყობინება რეიტერის საგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი.

მალიქმა განაცხადა აგრეთვე, რომ ინდონეზიას არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არა აქვს მალაიზიისადმი.

## ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲔᲨᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 7 მაისი. (საკდესი). გუშინ ნევადის შტატის ატომურ პოლიგონზე მოხდა ატომური იარაღის მორიგი მიწისქვეშა გამოცდა, რომელიც წელს მეთვრამეტეა.

ერთ-ერთმა წინა აფეთქებამ, რომელიც ორი კვირის წინათ განხორციელდა, ატმოსფეროში გამოიწვია რადიაცია, როგორც იუნაიტედ პრესს ინტერნიუშნლის საგენტო აღნიშნავს, ამჯერად ამერიკის ატომური ენერგიის კომისიამ წინასწარ გააფრთხილა ნევადის შტატის სამხრეთ ნაწილის მოსახლეობა მომავალი გამოცდის შესახებ.

## ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲡᲐᲠᲐᲕᲐᲛᲝᲨᲘ

ბელგრადი, 7 მაისი. (საკდესი). 6 მაისს ღამით სარაევოს ხეისმოლოგიურმა სადგურმა აღნიშნა ორი მიწისძვრა, რომელთა ეპიცენტრი 17 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. პირველი მიწისძვრა დაახლოებით 4 बाल იყო, მეორე — 3 बाल.

მიწისძვრას არ გამოუწვევია მატერიალური ზარალი.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

## 8 მაისი ჰიტლერული ფაშიზმისაგან გერმანიის განთავისუფლების დღე

ახალმშენებლობანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის სახის დამახასიათებელი ნიშანია. ადმინისტრაციული, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და, უწინარეს ყოვლისა, სამენაო მშენებლობა ბერლინში ფართო მასშტაბით წარმოებს. ყოფილი უშენი ადგილებისა და ძველი სახლების ადგილს საუცხო თანამედროვე შენობები იკავებენ.

• • •

სურათზე: ახალი საცხოვრებელი სახლი ომათვის, ვისაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია ოჯახის შექმნა, აღიგზდა ძველი ხიდის იუნგფერნბრიუკეს მეზობლად.

ფოტო ადნ— საკდესისა

## ᲤᲣᲚᲑᲠᲐᲘᲢᲘ ᲐᲥᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲘ

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა სიტყვა წარმოთქვა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევის სკოლაში. მან გააკრიტიკა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საფუძვლები და საერთო მიმართულება, აღნიშნა „ძალით გატაცების" საშიშროება. ამერიკის შეერთებული შტატები, განაცხადა ფულბრაიტმა, ცდილობენ დამტკიცონ, რომ „სხვა ქვეყნებზე უკეთესი და უფრო ძლიერი არიან" ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება „მთელი მსოფლიოსათვის პასუხისმგებლად მიიჩნიონ თავი", გააკრიტიკა ამერიკის ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ლათინური ამერიკის ქვეყნებში, სადაც, როგორც ფულბრაიტმა თქვა, „ლათინურამერიკელებს დემოკრატიას ასწავლიდნენ" უმთავრესად ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები, დემოკრატიული რეფორმები როდია დამყარებული. სამხრეთ ვიეტნამში დემონსტრანტები წვავენ ამერიკულ ჯიპებს, თავს ესხმიან ამერიკელ ჯარისკაცებს. აწყობენ მასობრივ დემონსტრაციებს ლოზუნგით: „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი". საიგონი, როგორც სენატორმა თქვა, ამერიკელებმა საოს�იდან გადააქციეს ამ სიტყვის ნამდვილი და ფიგურალური მნიშვნელობით და ეს დიდ აღშფოთებას იწვევს სამხრეთვიეტნამელებში.

## ᲛᲔᲡᲘᲐ ᲤᲣᲗᲑᲝᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲥᲠᲘᲢᲘᲙᲔᲑᲡ

ვაშინგტონი, 6 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების განსვენებული პრეზიდენტის კენედის ერთ-ერთმა უახლოესმა თანამშრომელმა სორენსენმა ჰამბურგის უნივერსიტეტში განაცხადა, რომ „გერმანიის 1937 წლის საზღვრები არასოდეს აღარ აღდგება. როგორც გაზეთი „ნაინშე პოსტი" იუწყება, სორენსენმა აღნიშნა, რომ გერმანია ვერ გერთიანდება „აღმოსავლეთის მიმართ ზეგავლენისა და მუქარის პოლიტიკის გზით". როგორც სორენსენმა თქვა, დასავლეთგერმანელი პოლიტიკოსებისათვის ნთელი უნდა იყოს, რომ „გაერთიანება უცბად და ადვილად ვერ მოხდება"...

## ᲛᲔᲣᲤᲘᲡᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ბრაზავილი, 6 მაისი. (საკდესი). დღეს რადიოთი გამოვიდა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მასამბა-დება, რომელმაც გამოაცხადა კონგოს ახალი მთავრობის შემადგენლობა. მთავრობის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ამბარუაზ ნუმბაზალა, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის პირველი პოლიტიკური მდივანი და პოლიტბიუროს წევრი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა დავიდ-შარლ განაო, რომელსაც ეს პოსტი ეკავა წინა მთავრობაშიც. შინაგან საქმეთა მინისტრად კვლავ ანდრე ომბესა.

ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ეროვნული თავდაცვის საკითხების ხელმძღვანელობა კვლავ ეკისრება რესპუბლიკის პრეზიდენტს მასამბა-დებას.

## ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ

ბრაზავილი, 6 მაისი. (საკდესი). ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მასამბა-დება, რომელმაც გამოაცხადა კონგოს ახალი მთავრობის შემადგენლობა. მთავრობის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა ამბარუაზ ნუმბაზალა, ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის პირველი პოლიტიკური მდივანი და პოლიტბიუროს წევრი. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა დავიდ-შარლ განაო, რომელსაც ეს პოსტი ეკავა წინა მთავრობაშიც. შინაგან საქმეთა მინისტრად კვლავ ანდრე ომბესა.

ეროვნული რევოლუციური მოძრაობის პარტიის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით ეროვნული თავდაცვის საკითხების ხელმძღვანელობა კვლავ ეკისრება რესპუბლიკის პრეზიდენტს მასამბა-დებას.

## ᲨᲔᲕᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲗ ᲛᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

პარიზი, 7 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ფ. მიტერანმა შექმნა ეგრეთ წოდებული „ოპოზიციური". ამასთან დაკავშირებით საფრანგეთის სახელმწიფო რადიომ მიკროფონთან მიიწვია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჟ. მარშეი.

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ, თქვა ჟ. როშემ, რომ ფრანსუა მიტერანის მიერ შექმნილი „ოპოზიციური" ძირითადად რადიკალთა და სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელები შედიან. მაგრამ საფრანგეთის სოციალისტური პარტია და რადიკალები ერთად არჩევნების დროს ამომრჩეველთა ოც პროცენტსაც ძლივს აგროვებენ. მაშასადამე საქმე შეეხება „სათადარიგო კაბინეტს", რომელიც ვერასოდეს ვერ ჩადგება ხელისუფლების სათავეში. არსებითად, ამ „ოპოზიციურ-მთავრობის" შექმნით ფორანი ცხენის წინ დააყენეს. თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს წარმატებას მივაღწიოთ — დავამხოთ პირადი ხელისუფლება და შევქმნათ დემოკრატიული ერთობის მთავრობა, უნდა ვეცადოთ უკლებლივ მფელი მემარცხენე ძალების შეკავშირებას.

საფრანგეთის მემარცხენე ძალებს ერთადერთი საშუალება აქვთ მიიღონ უმრავლესობა. ყველა მემარცხენე პარტია უნდა შეთანხმდეს საერთო სამთავრობო პროგრამის შესახებ და პარლამენტის მომავალ არჩევნებში ერთობლივი გამოსვლის შესახებ, ხაზგასმით აღნიშნა ჟ. როშემ.

# ᲤᲠᲝᲜᲢᲣᲚᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲔᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ძალმოწურშია დაწერილი. მისი ავტორია მამაცი მეომარი კატო ზამთარაძე.

„ᲗᲐᲕᲘ აქა ვარ, ფრონტის ხაზზე, მწერდა იგი, — ჩვენ გოგონები, მეკავშირეებად ვმუშაობთ მინდორში. ახლა გაზაფხულია. უცნაურია ბუნება, ყველაფერი ᲛᲧᲕᲐᲕᲘᲚ, ბუნების ძალას ვერაფერი ვერ ᲔᲯᲐᲮᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ვერც „ᲙᲐᲢᲝᲣᲨᲘᲜᲔᲑᲘᲡ" ტატანი, ვერც ტანკების გრუხუნი და ვერც ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ გრგვინვა-გრიალი. გუშინაც დაკვრიფეთ მინდვრის ყვავილები, თაიგული გატეხილ ᲭᲘᲐᲨᲘ მოვათავსეთ, და ეხე ალვნიშნეთ პირველი მაისი...

შენც გიგზავნი ამ ფრონტული სურნელებით გაჟღენთილ ყვავ

# ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

## სასიამოვნო სიახლენი

☐ ქალაქ ხაშურის ცენტრში გაიხსნა ახალი ორსართულიანი უნივერმაღი. მას აქვს გალანტერიის, კულტსაქონლის, პარფიუმერიის, მზა ტანსაცმლის, ქსოვილების, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის და სხვა სექციები.

☐ სარხერე. (საკ. კორ.). ენგელსის ქუჩაზე ამ დღეებში გაიხსნა ახალი სამაგვიარო ბაღი 100 აღსაზრდელისათვის. ეს რიგით მესამეა. ახალი კეთილმოწყობილი სამაგვიარო ბაღის შენობა საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე მეკენანეობის საბჭოთა მეურნეობაში.

☐ დაბა მაიაკოვსკში საექსპლოატაციოდ გადაეცა პურის მექანიზებული საცხობი. ახალი საცხობი ყოველდღიურად 11-12 ტონა მაღალხარისხოვან პურს აწვდის რაიონის რვა სოფელს.

☐ დაბა ორჯონიკიძეში საექსპლოატაციოდ გადაეცა რაიონული საავადმყოფოს ოთხსართულიანი 150-საწოლიანი შენობა.

საავადმყოფო აღჭურვილია უახლესი ტექნიკური მოწყობილობით, აქვს ქირურგიული, თერაპიული, ბავშვთა, გინეკოლოგიური, რენტგენოლოგიური განყოფილებები, სამშობიარო, მზის სხივების საბანანი. ცალკეა ინფექციური სნეულებათა კორპუსი, პოლიკლინიკა, სხვადასხვა დიაგნოსტიკური ლაბორატორიები, სამეურნეო კორპუსი.

(„კომ." კორ.).

# შევჩენკოელები თელავში

თელავი. (საკ. კორ.). დონეცკის ოლქის არტიომოვსკის რაიონის სოფელ პოკროვსკოეს ტარას შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში სტუმრად იყო ამავე არტელის საპატიო წევრთან — საქართველოს სახალხო პოეტ გიორგი ლეონიძესთან, საგარეჯოს რაიონის მშრომელებთან შეხვედრის შემდეგ თელავის რაიონს ეწვია. შევჩენკოელებს თელაველებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ალ. ვარდოშვილმა სტუმრებს რაიონის კოლმეურნეობათა შრომასა და საქმიანობაზე მოუთხრო, ხოლო სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. მესტვირიშვილმა თელაველთა მომავალის პერსპექტივები გააცნო.

შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა ტრაქტორისტმა ვ. ვასილიევმა და მწვეველებს: ა. ედიბერიძე, მ. ჩაჩავა, დ. შოთაძე, ი. ვართაპეტოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ს. ხეჩინაშვილი, პროფესორები მ. შაგ-მშველიძე, ჯ. ციციშვილი, დოცენტები პ. მგალობლიშვილი, ნ. ბაძიაშვილი და მ. დოდაშვილი, ექიმები ვ. ხუციძე და ვ. ყანჩაველი.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ ჩვენი სამკურნალოს დიდ და კეთილშობილურ საქმიანობაზე, მოქალაქე ნ. ვ.-ს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა უხვი ჩირქოვანი და კვანძოვანი გამონყარი სახეზე, გულმკერდსა და ზურგზე. ამის გამო საზოგადოებას და ამხანაგებსაც კი გაურბოდა. კომპლექსური გამოკვლევის და პათოგენეზური საერთო და ადგილობრივი მკურნალობით, აგრეთვე შუასფერისი რეჟიმით ავადმყოფს კანი სრულიად გაუსუფთავდა.

ვ. მ.-ს 25 წლის ასაკში სახეზე მამაკაცის მაგვასად თმის ჭარხი ზრდა დაიწყო, მალე თმა ტანზეც გაუნნდა. დაიწყო წონაში მატება. ამ ავადმყოფს ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სპეციალურ გამოკვლევების შემდეგ, ეგრეთწოდებული იეკენკოკუშინგის დაავადება დაუდასტურდა, რაც თირკმელზედა ჯირკვლის დისფუნქციით იყო გამოწვეული. შესაფერისი მკურნალობის შედეგად მას კანი თმისაგან სრულიად გაუსუფთავდა.

ორსულობის დროს ქალებს ხშირად სახეზე მუქი ლაქები უჩნდებათ, ზოგჯერ მშობიარობის შემდეგაც რჩებათ. გაზაფხულზე და ზაფხულში კიდევ უფრო უმუქდებათ. ჩვენ სამკურნალოში ასეთი ავადმყოფები სრულიად იკურნებიან.

ჩვენთან ყოფილან სპორტსმენებიც. სპორტსმენ ა. ს.-ს ტრავმის შედეგად ყურის ნიჟარის ძლიერი დეფორმაცია განვითარებოდა. პლასტიკური ოპერაციის შედეგად ჩვენმა ქირურგებმა მის ყურს ნორმალური ფორმა დაუბრუნეს.

მოქალაქე ვ. კ-ს ავარიაში მოხვედრის შედეგად ცხვირის დეფორმაცია განუვითარდა, სახეზე დარჩა უხვი ნაწიბურები. მას გაუკეთეს სათანადო პლასტიკურ-კოსმეტიკური ოპერაცია და დეფექტები სახეზე სრულიად წაეშალა.

ჩვენი სამკურნალო არცთუ დიდი ხანია მუშაობს, მაგრამ სხვადასხვა სახის დახმარებისათვის მას თხოვნით მომართავენ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, არამედ სხვადასხვა რესპუბლიკიდანაც.

...გთხოვთ მაცნობოთ, თქვენთან კეთდება თუ არა ცხვირის პლასტიკური ოპერაცია და თუ ასეთი კეთდება, ჩაწერეთ რიგში ივლის-აგვისტოში", — გვწერს სახალინიდან მოქალაქე ვ. ვერბენკო. მოლდავეთი ა. შვიდი ჩვენთან ჩამოსვლას აპირებს სახეზე ჭარბი თმის მოსაცილებლად. წერილები მიღებული გვაქვს აგრეთვე ნალჩიკიდან, ნოვოსიბირსკიდან, სოჭიდან, კრასნოდარიდან და სხვა ქალაქებიდან. ყველას სიამოვნებით მივიღებთ და მოვემსახურებით.

გათვალისწინებულია ახლო მომავალში კოსმეტიკური სამკურნალოს გაფართოება. გვაქვს ნებაც საკუთარი სტაციონარი. ამ დღეებში მთავრმა საბჭოთა-ალ სამმართველომ ქალაქის ერთ-ერთ აფთიაქში შექმნა კოსმეტიკური განყოფილება, რომელიც მოემსახურება ჩვენს ავადმყოფებს, რაც საშუალებას მოგვცემს საკრძნობლად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კოსმეტოლოგიური მომსახურება.

მობრძანდით ჩვენთან, ვისაც საექიმო-კოსმეტიკური დახმარება გჭირდებათ. ყოველგვარი საშუალება გვაქვს თქვენს განსაკურნებლად.

გვეწვიეთ, იმკურნალეთ. იმედი გვაქვს უკმაყოფილო არ დარჩებით.

**ლ. შეფიერული,**

**თბილისის საექიმო კოსმეტიკური სამკურნალოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

* * *

**სურათზე:** თბილისის საექიმო კოსმეტიკური სამკურნალო ეიკა-შვაბეს ბროსპექტზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ეწვიეთ, იმკურნალეთ

## სილამაზის სახლი

ჩვენი გაზეთის 9 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო ახალი ამბების სააგენტოს სტატია „ექიმი მოქანდაკენ". ამ სტატიაში გაშუქებული იყო მოსახლეობის კოსმეტოლოგიური მომსახურების საკითხი. წერილი კერძოდ მოგვითხრობდა ქალაქ მოსკოვის კოსმეტოლოგიური ინსტიტუტის საქმიანობაზე.

სტატიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში შემოვიდა ბევრი წერილი, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ ვუპასუხოთ, კეთდება თუ არა ასეთი კოსმეტოლოგიური ძანიპულაციები ჩვენთან, საქართველოში; კერძოდ, აინტერესებთ მოვუთხროთ ქალაქ თბილისის საექიმო კოსმეტიკური სამკურნალოს მუშაობაზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ თბილისის საექიმო კოსმეტიკური სამკურნალოს მთავარი ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის ლ. შეფიერულის სტატიას.

ბუნებრივია, რომ ყველა ადამიანს მიზწრაფება აქვს იყოს ლამაზი, მიმზიდველი, გამოიყურებოდეს უკეთ, ვიდრე არის. ამის მიღწევა კი შესაძლოა, თუ დავიცავთ პრაქტიკის და მეცნიერების მიერ შემუშავებულ რეჟიმს, თუ დროულად და მიზანშეწონილად გამოვიყენებთ კოსმეტიკის შესაფერის საშუალებებს.

თანამედროვე კოსმეტიკა ძირითადად გულისხმობს კანის, თმისა და ფრჩხილების მოვლას, რასაც საექიმო და დეკორაციული კოსმეტიკა ემსახურება.

დეკორატიულ კოსმეტიკას ძირითადად საყოფაცხოვრებო პირობებში იყენებენ. უვნებელ კოსმეტიკურ საშუალებათა გამოყენებით შესაძლებელია სახეზე არსებული ზოგიერთი მცირე დეფექტის ხელოვნურად დაფარვა, მაგალითად, „ლოყაზე ფოთოლ-ფოთოლი ზედმეტი სიწითლის მოცილება, უფერული წარბებისა და წამწამების შეფერადება. შედარებით ამ „ხატრა" საქმისათვის არის მოწოდებული საპარიკმახერობის კოსმეტიკური კაბინეტები.

კანის უფრო დიდ კოსმეტიკურ დეფექტებს მარტო ადგილობრივი მკურნალობა არ ეშველის. აქ უკვე საჭიროა საექიმო კოსმეტიკა, რომელიც მედიცინის მეცნიერების უახლეს მიღწევებს ემყარება.

ბოლო წლამდე საქართველოში ასეთი ცალკე დაწესებულება არ არსებობდა. ავადმყოფების კანის სხვადასხვა დეფექტებთან ძირითადად დერმატოლოგიური, ქირურგიული და ფიზიოთერაპიული დაწესებულებები ემსახურებოდნენ. 1964 წელს თბილისში შეიქმნა რესპუბლიკაში ერთადერთი საექიმო კოსმეტიკური სამკურნალო, იგი საბჭოთაკავშირის, მაგალითად, შვაბეს პროსპექტზე № 24 მდებარეობს. მას სამი — ქირურგიული, ფიზიოთერაპიული და კოსმეტიკური განყოფილება აქვს.

კანი მჭიდრო კონტაქტშია მთელ ორგანიზმთან და ცალკეულ ორგანოებთან. ამიტომ სრულიად უდავოა, რომ კანის დაავადებანი და მთელი რიგი დეფექტები შინაგანი ორგანოების, მეტ წილად ნერვული სისტემის ფუნქციის მომლის შედეგია. ახლა კოსმეტიკური დეფექტის მხოლოდ ადგილობრივი კოსმეტიკური საშუალებების გამოყენებით მკურნალობა სრულიად გაუმართლებელი და უშედეგოა, რადგან დაავადების გამომწვევი იმ ძირითადი მიზეზის კანზე ზემოქმედება გრძელდება, რომელმაც კანის ესა თუ ის ცვლილება განაპირობა. მაგალითად, თუ ქალს სახეზე დაეწყო თმის ზრდა, ეს პირველ ყოვლისა უნდოკრინული ანუ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლის შედეგია და, რასაკვირველია, მხოლოდ თმის ეპილაციით ვერასდროს სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. სულ მალე თმა იმავე ან სხვა ადგილებში ახლად წამოიზრდება. აუცილებელია ასეთი ავადმყოფის გამოკვლევა და თმის ეპილაციასთან ერთად შესაფერისი საერთო პათოგენეზური მკურნალობის დანიშვნა.

თითქმის ასეთივე მიზეზებით არის გამოწვეული სქესობრივი მომწიფების ასაკში სახეზე, ზურგსა და გულმკერდზე ფერისმჭამელების გაჩენა, რომლის მხოლოდ ადგილობრივი მეთოდებით მკურნალობა არავითარ შედეგს არ იძლევა.

ეი ადამიანს აწუხებს და აწვალებს ფიზიკური ნაკლი, ერცხვინება ხალხში გამოჩნენა ჩამოშვებული ყურით, მეტად დიდი ცხვირით, თანდაყოლილი კურდღლის ტუჩით, რომელიც განსაკუთრებულ უხერხულობაში აყენებს გოგონებს... ყველაფერი ეს სწორდება ჩვენთან, სამკურნალოს ქირურგიულ განყოფილებაში. აქ კეთდება თითქმის ყველა სახის კოსმეტიკურ-პლასტიკური ოპერაცია — გრძელი ან დეფორმირებული ცხვირის, დიდი და გადმოშვერილი ყურების, ტუჩების თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტების. სახეზე და კისერზე ნაოჭების და უბეში ნაწიბურების გასწორება, სარძეე ჯირკვლების პლასტიკა, მუცელზე და ბარძაყზე ზედმეტი ცხიმოვანი ქსოვილის, კეთილთვისებიანი სიმსივნეების ამოკვეთა, კანქვეშ მდებარე გარეშე სხეულის მოშორება და სხვ. ოპერაციები ავადმყოფებს უკეთდებათ როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ პირობებში.

სამკურნალოს ფიზიოთერაპიული განყოფილების სპეციალისტები უმძკვნეულოდ აშორებენ სვირნაგს (ტატუირებას), მეტეჭებს, კანის გარქოვანებას (კერატომას), სახეზე თმას, თანდაყოლილ ხალებსა და სისხლძარღვოვან წითელ ლაქებს, ნაყვავილებს ნაწიბურებს, ქსანთელაზმებს (თვალის შიგნითა კუთხეში ქუთუთოზე რბილ მოყვითლო, სიმსივნის მსგავს წარმონაქმნებს) და სხვა დეფექტებს ელექტროკოაგულაციით.

სახესა და კისერზე ნაადრევად გაჩენილ ნაოჭებს, კანის სიმშრალეს და ზედმეტ ცხიმოვანობას, ჭორფლს სხვადასხვა ფერის პიგმენტურ ლაქებს, ფერისმჭამელებს, თმის ნაადრევ დაცვენას და სხვ. მკურნალობენ კოსმეტიკურ განყოფილებაში. ამ მიზნით სამკურნალოში ფართოდ იყენებენ კომპლექსურ სამკურნალო საშუალებებს — სხვადასხვა სახის მკვეთავ ვიტამინიზებულ



...ბოთა, ბალზამებს, ნიღბებს, მასაჟებს, ვიტამინებს, საერთო გამაჯანსაღებელ საშუალებებს, ჰორმონებს, ფიზიოპროცედურებს და სხვ.

კოსმეტოლოგები, გარდა იმისა, რომ კანს ამა თუ იმ დეფექტს აშორებენ, დაინტერესებულ პირს აძლევენ რჩევა-დარიგებას სხვადასხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, რა როგორ შეინარჩუნონ სიახალგაზრდავე, და თავიდან აიცილონ კანის ნაადრევი ნოჭების და ჭკნობა.

სამკურნალოს სამედიცინო პერსონალმა კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანის ამა თუ იმ დაავადების ან დეფექტის წარმოშობის მიზეზის და ორგანიზმის საერთო მდგომარეობის შესწავლას, რასაც სამკურნალოში კონსულტანტებად მოწვეული სხვადასხვა სპეციალობის ექიმები ატარებენ. აქ ურთიერთკავშირში მუშაობენ ქირურგები დერმატოლოგები, ოტოლარინგოლოგები, ენდოკრინოლოგები, გინეკოლოგები, ნევროპათოლოგები, თერაპევტები და სხვ. კომპლექსური გამოკვლევის შედეგად ისინი ავადმყოფებს ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით უნიშნავენ მკურნალობას გარეგანი და შიგნით მისაღები საშუალებებით. ამისათვის ფართოდ იყენებენ გამოკვლევისა და მკურნალობის უახლეს მეთოდებსა და პრეპარატებს. ამრიგად, გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანზე არსებული დეფექტების შემჩნევისას კვალიფიციური დახმარების მისაღებად სათანადო სამკურნალო დაწესებულებისადმი მიმართვას.

თბილისის საექიმო კოსმეტიკურ სამკურნალოში ავადმყოფებს სამკურნალო პროფილაქტიკურ დახმარებას და კონსულტაციებს ჩვენი რესპუბლიკის ისეთი ღვაწლმოსილი, სახელოვანი მეცნიერები და პრაქტიკოსი ექიმები უწევენ, როგორიც არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები: ა. ედიბერიძე, მ. ჩაჩავა, დ. შოთაძე, ი. ვართაპეტოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ს. ხეჩინაშვილი, პროფესორები მ. შაგ-მშველიძე, ჯ. ციციშვილი, დოცენტები პ. მგალობლიშვილი, ნ. ბაძიაშვილი და მ. დოდაშვილი, ექიმები ვ. ხუციძე და ვ. ყანჩაველი.

# საგაზაფხულო სტუდენტური...

მზე, სითბო, სიცოცხლის სიხარული მოაქვს გაზაფხულს. იგი უფრო ახალისებს კაცობრიობის მარადიულ უკვდავებას — ახალგაზრდობას. და ეი მზითა და სინათლით გაცისკროვნებულ ამ დღეებში დაიწყო და მიმდინარეობს „სტუდენტური გაზაფხული" — ახალგაზრდობის სიცვალეულის ზეიმი, რომელშიც დიდი გამოცოცხლება შეიტანა უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში.

მრავალფეროვანი და მიმზიდველია „გაზაფხულის" პროგრამა. ეწყობა სამეცნიერო კონფერენციები, თვითმოქმედების დათვალიერება, სპორტული შეჯიბრებები, სტუდენტ მხატვართა გამოფენები, დისპუტები, თეატრალური საღამოები, სტუდენტური კინოფილმების ფესტივალი და სხვ. ყველა ეს ღონისძიება უფრო მეტად დაახლოებს ერთმანეთთან სტუდენტ ახალგაზრდობას, გააცნობს თანატოლების საქმიანობას.

განსაკუთრებით ახარებს გაზაფხული სპორტის მოყვარულებს. ჩვენი სახელოვანი სტუდენტი სპორტსმენები იწყებენ ბრძოლას სპორტულ სარბაზეზე. იწყება გულმემატკივართა მოეკვარება. უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს სტუდენტთა სპარტაკიადები, სპორტული თამაშები, იწყობა გამაჯანსაღებელი შეჯიბრები. როგორც ყოველთვის, ეს ღონისძიება ძალიან ბევრ ახალგაზრდას იზიდავს.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრებმა გამოფენამ, რომელიც სტუდენტთა ქალაქის კლუბში გაიხსნა. დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტი მხატვრების გამოფენა მოეწყო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში. გუშინ სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა მოეწყო თბილისის სახელმწიფო მხატვრთა კლუბში.

ეს გამოფენა-განხილვა ჩვენს მხატვრულ საზოგადოებას შეუქმნის გარკვეულ აზრს ფერმწერთა, მოქანდაკეთა, გრაფიკოსთა და სხვითა ხელოვნების მომავალ შემოქმედთა პოტენციურ შესაძლებლობაზე, მათს დღევანდელ სახეზე. კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოეწყო თბილისის სტუდენტობის საღამო, მიძღვნილი ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი. კონცერტში მონაწილეობდნენ კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრი, თბილისის ახალგაზრდული კაპელა, კონსერვატორიისა და მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტები.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები თბილისის ახალგაზრდობის წინაშე წარსდგებიან ორი სპექტაკლით. ხაჩვენები იქნება ლოპე-დე-ვეგას „ცევის მაწყვეტელი" და ვაჟაფშაველას „სტუმარ-მასპინძელი". ეს უკანასკნელი დიდგა სტუდენტმა გ. ქავთარაძემ, რომელსაც დღემდე საზოგადოებრიობა იცნობდა როგორც მსახიობს.

სტუდენტი პოეტები ეწვევიან საგურამოს, იქ ეახლებიან დიდი ალიას, ავაზაკურებს სახლ-ეუზეუძის კარმიდამოს და გამართავენ პოეზიის ტრადიციულ დღესასწაულს.

გუშინ თბილისში კაფე „გაზაფხულში" ახალგაზრდობა მოაწყეს ლექსის საღამო დეკანოზი — ჰიმნი სიყვარულს. ამ საღამოზე დაისვენეს და სტუდენტმა პოეტებმა რ. ბერაძემ, ზ. ცხადიაამ, ნ. ბართაიამ, მ. თეფნაძემ და სხვებმა თითო ლექსი წაიკითხეს. ამ საღამოზე თავიანთი შემოქმედება გვიჩვენეს ნორჩმა პოეტებმაც. მარად ახალგაზრდულ თემაზე — სიყვარულზე.

ჩვენი ხალხი ამაყობს ჩვენი შრომისმოყვარე სტუდენტებით, რომლებიც უკვე რამდენი წელია თავდადებულად შრომობენ ყანრზე. ქართველ მეყანრე ახალგაზრდებს მიღებული აქვთ უამრავი ჯილდო. მათ შორის მთავრობის მაღალი ჯილდოებიც. „გაზაფხულის" დღეებში ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება იქმნება „მეყანრეთა საღამო". იგი ახალგაზრდებს ძალიან შინაარსიანად და საქმიანად აქვთ ჩაფიქრებული.

მაისის შუა რიცხვებში გაიმართება სტუდენტთა მეორე საქალაქო სამეცნიერო კონფერენცია. თემა ერია იქნება — „რუსთაველი". იგი მიეძღვნება ბენრიოსი პოეტისა და დიდი ჰუმანისტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისს ყველა უმაღლესი სასწავლებლის, სამეცნიერო-დაწესებულებების, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

იმათ, ვისაც კინო უყვარს, შეუძლიათ ნახონ სტუდენტ კინომოყვარულთა ფილმების ფესტივალი სტუდენტთა ქალაქის კლუბში. მაყურებელს უჩვენებენ სტუდენტების შექმნილ ფილმს „ძილები, ძილები", რომლის დამდგმელია სტუდენტი ელ. აბულაძე, და „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ფილმს „სტუდენტი გამოცდაზე გავიდა".

საინტერესოა ქართველთა ჩაფიქრებული ახალგაზრდებს მხიარულთა და სახრიანთა გუნდების შეხვედრა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტების სტუდენტებმა. გაიმარჯვეს მომავალმა ექიმებმა.

„გაზაფხულის" დღეებში თბილისის სტუდენტობას ეწვევიან მოძმე რესპუბლიკების სტუდენტთა დელეგაციები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუმრებმა — კიევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებმა თავიანთი ხელოვნება აჩვენეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმრებმა — ბალტიისპირეთის ოესპუბლიკების სტუდენტთა დელეგაციის წევრებმა—წაიკითხეს საინტერესო მოხსენება უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციაზე. ჩამოსულმა სტუდენტებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვევნენ საგურამოს, მცხეთას. აქ გაიმართა დიდი ინტერნაციონალური საღამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია ლატვიელ სტუდენტთა მიწვეული იყო ვილნიუსში. დელეგაციამ იქ მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა ზეიმში. დიდი წარმატება ხვდა

ნახონ სტუდენტ კინომოყვარულთა ფილმების ფესტივალი სტუდენტთა ქალაქის კლუბში. მაყურებელს უჩვენებენ სტუდენტების შექმნილ ფილმს „ძილები, ძილები", რომლის დამდგმელია სტუდენტი ელ. აბულაძე, და „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბერლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ფილმს „სტუდენტი გამოცდაზე გავიდა".

საინტერესოა ქართველთა ჩაფიქრებული ახალგაზრდებს მხიარულთა და სახრიანთა გუნდების შეხვედრა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტების სტუდენტებმა. გაიმარჯვეს მომავალმა ექიმებმა.

„გაზაფხულის" დღეებში თბილისის სტუდენტობას ეწვევიან მოძმე რესპუბლიკების სტუდენტთა დელეგაციები. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუმრებმა — კიევის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სტუდენტებმა თავიანთი ხელოვნება აჩვენეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუმრებმა — ბალტიისპირეთის ოესპუბლიკების სტუდენტთა დელეგაციის წევრებმა—წაიკითხეს საინტერესო მოხსენება უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციაზე. ჩამოსულმა სტუდენტებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ეწვევნენ საგურამოს, მცხეთას. აქ გაიმართა დიდი ინტერნაციონალური საღამო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია ლატვიელ სტუდენტთა მიწვეული იყო ვილნიუსში. დელეგაციამ იქ მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა ზეიმში. დიდი წარმატება ხვდა

# ოსტატობა, გრაცია...

თბილისის სპორტის სასახლე კვლავ დიდი პაექრობის არენა გახდა. გუშინ აქ გაიხსნა საერთაშორისო ასპარეზობა სპორტულ ტანვარჯიშში უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

მოწყობა სპორტსმენთა პარადი. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე შ. ქარუშარაშვილი. პიონერებმა სტუმრებს თაიგულები უძღვნეს.

საბჭოთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ა. ასტახოვა, ლ. ლატინინა, ნ. კუჩინსკაია, ლ. პეტრიკი, ა. ჯანუაშვილი და ბ. ბურუჩაევა, დვრთან განლაგდა, უნგრელები შეუდგნენ ბკენით ხტომებს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დაიწყეს ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიში, პოლონელები კი თავისუფალ ვარჯიშს შეუდგნენ.

ტანმოვარჯიშეები ასრულებდნენ სავალდებულო პროგრამას, თვალში გხვდებოდა დამვეწილობა, ლილმაზე, გრაცია. დვირზე ვარჯიშში საერთო მოწონება დაიმსახურა ნ. კუჩინსკაიამ, რომელმაც მიიღო შეფასება 9,7 ქულა. სამმა სპორტსმენმა ა. ჯანუაშვილმა, ლ. პეტრიკმა და ბ. ბურუჩაევამ მოაგროვეს 9,45-9,45 ქულა. ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეებიდან უძლიერესი იყო უ. შტარკე, ბკენით ხტომებში უნგრელთა შორის — ა. მაკრინი, თავის უფფალ ვარჯიშში პოლონელთა შორის — ბ. ეუსტახევიჩი.

საბჭოთა ნაკრები შეგროვილი ქულებით თავიდანვე ხათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას და ლიდერობა არავისთვის დაუთმია. გუნდები იცვლიდნენ ადგილებს, თვითეულმა მათგანმა გაიარა მრავალჯერის ყველა სახეობა.

საერთო მოწონება დაიმსახურა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. ჯანუაშვილმა, რომელმაც ბკენით ხტომებში პირველი ადგილი დაიკავა — 9,65 ქულა. მანვე მრავალჯერადში 37,85 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ლიდერია ნ. კუჩინსკაია — 38 ქულა. ამ უკანასკნელს გადაეცა გაზეთ „თბილისის" რედაქციის მიერ დაწესებული პრიზი. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები.

დღეს გაიმართება ნებისმიერი ვარჯიშები.

## საქალაქთაშორისო შეხვედრა

გუშინ თბილისში გაიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება რეგბიში. თამაშობდნენ მოსკოვის „ლინამოსი" და თბილისის „ლოკომოტივის" გუნდები. გამარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 12:5.

## ერთადერთი გზერი

ბუენოს-აირესი. 6 მაისი. (საკ.). სულ ორმა ქულამ გადაწყვიტა არგენტინისა და სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების ორთაბრძოლის შედეგი—77:75 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ! პირველი ტაიმი ფრედ დაამთავრდა — 39:39. ეს იყო არგენტინაში ჩვენი ნაკრების უკანასკნელი მატჩი.


# კომუნისტი

## ჩემპიონის მარცხი

გუშინ მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონის — მოსკოვის „ტორპედოსა" და დონეცკის „შახტიორის" მატჩით დაიწყო საკავშირო პირველობის მეექვსე ტური ფეხბურთში. შეხვედრის შედეგად 2:1 „შახტიორის" სასარგებლოდ. ჩემპიონმა პირველი დამარცხება ვაგემა.

დღეს შედგება რვა მატჩი. თბილისის დინამოელებს გასვლიათ თამაში ეჩუნათ ერევნის „არარატთან". ასაპარეზობის მსვლელობა ნაჩვენები იქნება ტელევიზიით 16 საათიდან. ქუთაისის „ტორპედო" საკუთარ მოედანზე შეხვდება ალმა-ატის „კაირატს". ამ მატჩის უკანასკნელი 15 წუთის ტრანსლაციას ოადიოთი მორსმენთ 20 საათიდან.

## მ. ს. გიგინეიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

**თბილისის** სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სამეაონ-გინეკოლოგიური კათედრის დოცენტმა **მიხეილ სამსონის-ძე გიგინეიშვილმა** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დიდ სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

**„მასალები მშობიარობის დაწყების მიზეზთა შესახებ".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. ს. გიგინეიშვილისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

## „საქართველოს აგიტატორი" № 9

**გამოვიდა** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის"** მორიგი, მეცხრე ნომერი.

## ჩვენი ძიუდოისტები — ნახევეარფინალში

**ლუქსემბურგი,** 7 მაისი. (საკ. სპეც. კორ. ჰ. ხაჩკოვანიანი). საბჭოთა ძიუდოისტები გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც დღეს აქ დაიწყო.

საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ავსტრიის ნაკრები გუნდები ერთნაირი ანგარიშით 4:0. ნახევარფინალში ისინი შეხვდებიან ჰოლანდიელ ძიუდოისტებს, რომლებმაც მოუგეს ბელგიისა და ლუქსემბურგის გუნდებს.

მეორე ნახევარფინალში გავიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საფრანგეთის გუნდები. გერმანელმა ძიუდოისტებმა ადვილად დაამარცხეს ფინეთის გუნდი და ძნელ შეჯიბრებაში მოუგეს ინგლისის მოკიდავეებს ანგარიშით 3:2.

პირად პირველობაში ჩემპიონის ტიტულისათვის იბრძვის 20 ქვეყნის 172 მოკიდავე.

## დღეს გადამწყვეტი შეხვედრები

დასავლეთ გერმანიის ქ. კარლსრუეში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. წარმატებით გამოდიან ჩვენი სპორტსმენები. მესამე წრეში ბერიაშვილმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა ფრანგ კოლონინთან ორთაბრძოლაში. ცხოვრებაშვილმა და ლომიაძემ ქულებით გაიმარჯვეს. წარმატება ხვდათ აგრეთვე იბრაკიმოვს, შედეევს, შახმურაზოვს.

დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები.

## ტელევიზია

**8 მაისი**

10.00 — ლექცია დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის მხატვლობით ტელევიზიაში, 11.40 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა", 13 საათიდან 13 საათსა და 55 წუთამდე შესვენება, 13.55 — გადაცემათა პროგრამა, 14.00 — „შედეგი" (გადმო